ვანის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკონკურსო კომისიის სხდომის

ოქმი №7

ქ. ვანი 18 10 2013 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

ავთანდილ ჭელიძე - ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი, კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი.

აკაკი წერეთელი - გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი, წევრი.

შოთა კორძაძე - გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი, წევრი.

რუსუდან აბჟანდაძე - გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.

რამლეზი ოჩხიკიძე - გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის წამყვანი სპეციალისტი, აპარატის წევრი.

თამარ ადეიშვილი - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მთავარი სპეციალისტი აპარატის წევრი-მდივანი.

*დღის წესრიგი:*

*ვანის მუნიციპალიტეტის მიერ კონკურსის მეშვეობით ჭაგან-ჭყვიში არსებულ გარე განათებაზე 17 სანათის დამატების სამუშაოებზე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით კონკურსის ხელახალი გამოცხადების შესახებ.*

*მოისმინეს:* ინფორმაცია, რომ ვანის მუნიციპალიტეტის მიერ კონკურსის მეშვეობით ჭაგან-ჭყვიში არსებულ გარე განათებაზე 17 სანათის დამატების სამუშაოებზე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით 03 ოქტომბერს გამოცხადებულ კონკურსში უ/ნ 984 მონაწილეობა არ მიუღია არც ერთ პრეტენდენტს და კონკურსი არ შედგა.

შესყიდვების კანონმდებლობიდან გამომდინარე უნდა გამოცხადდეს ხელახალი კონკურსი.

დაადგინეს:

1) კონკურსის მეშვეობით ჭაგან-ჭყვიშში არსებულ გარე განათებაზე 17 სანათის დამატების სამუშაოებზე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადდეს ხელახალი კონკურსი.
2) დაევალოს საკონკურსო კომისიის აპარატს „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანებით დამტკიცებული „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობების და წესის" მე-5 მუხლის შესაბამისად უზრუნველყოს საკონკურსო განცხადების გამოქვეყნების ოფიციალური მოთხოვნის და კონკურსის ჩატარების შესახებ განცხადების წარდგენა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, რომელიც გამოქვეყნდება სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

სხდომის თავმჯდომარე: ავთანდილ ჭელიძე

კომისიის წევრები:

1. აკაკი წერეთელი
2. რუსუდან აბჟანდაძე
3. შოთა კორძაძე

აპარატის წევრები:

1. რამლეზ ოჩხიკიძე
2. თამარ ადეიშვილი